

**MORPHOLOGICAL RELATIONSHIPS IN THE LANGUAGES FROM DIFFERENT  
LANGUAGE SYSTEMS  
(BASED ON THE ANALYSIS OF THE SPANISH AND GEORGIAN LANGUAGES)**

მორფოლოგიური ურთიერთმიმართებანი სხვადასხვა სისტემის ენებში  
(ესპანური და ქართული ენების მასალაზე)

**Marine Kobeshavidze**

Doctor of Philology, Associate Professor of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, I. Chavchavadze ave. 1, 0179, Georgia,  
+995591222007, marine.kobeshavidze@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-0185-5743>

**Nino Chrikishvili**

Doctor of Philology, Assistant Professor of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Tbilisi, I. Chavchavadze ave. 1, 0179, Georgia,  
+995 598155756, nino.chrikishvili@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0003-3904-5284>

**Abstract.** Spanish (Castilian) and Georgian are two completely different languages. The Spanish (Castilian) language is derived from vulgar Latin and is a branch of the Romance languages of the Indo-European language family. Georgian language belongs to the branch of Kartvelian languages of the Iberian-Caucasian language family and has nothing in common with Indo-European languages.

The different etymology of the Spanish and Georgian languages leads to their different morphological and syntactic structures. Grammatical differences are manifested in many directions, for example, different numbers and classifications of parts of speech, different grammatical categories of parts of speech, differences at the structural level, etc. Due to the amount of scientific material, this article deals with only a few features and aspects of nouns and verbs.

When comparing the nouns of the Spanish and Georgian languages, we discussed the grammatical categories characteristic of nouns - gender, number, case - and presented the main similarities and differences between Georgian and Spanish nouns. In addition, we saw how the syntactic confusion caused by the loss of Latin cases in Spanish was resolved, and we presented a list of prepositions that we use to translate nouns in different cases into Spanish. In the article, we paid special attention to the verb. We discussed the main difficulty of the Georgian verb – polypersonality and multiplicity of verb categories - and we searched for the forms-means that the Spanish language uses for the grammatical information of several verb categories foreign to the Spanish verb, but characteristic of the Georgian verb. A number of differences have been observed between the principles of classifying verb conjugations and verb structures.

**Keywords:** Spanish (Castilian) language, Georgian language, Morphology, Noun, Verb, Comparative study.

**მარინე კობეშავიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. # 1, 0179, საქართველო,  
+995591222007, marine.kobeshavidze@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0002-0185-5743>

**ნინო ჭრიკიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,  
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. # 1, 0179, საქართველო,  
+995 598155756, nino.chrikishvili@tsu.ge,  
<https://orcid.org/0000-0003-3904-5284>

**აბსტრაქტი.** ესპანური (კასტილიური) და ქართული ენები ორ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ენებს წარმოადგენენ. ესპანური (კასტილიური) ენა ხალხური ლათინურად მომდინარეობს და ინდოევროპული ენების ოჯახის რომანული ენების შტოს წარმოადგენს. ქართული ენა კი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური ენების შტოს მიეკუთვნება და არ აქვს საერთო ინდოევროპულ ენებთან.

ესპანური და ქართული ენების განსხვავებული ეტიმოლოგია მათ განსხვავებულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებს განაპირობებს. გრამატიკული განსხვავებანი არაერთი მიმართულებით ვლინდება, მაგალითად: მეტყველების ნაწილების განსხვავებული რაოდენობა და კლასიფიკაცია, მეტყველების ნაწილების სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიები, განსხვავებანი სტრუქტურულ დონეზე და ა.შ. სამეცნიერო მასალის მოცულობიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში საუბარია მხოლოდ არსებით სახელსა და ზმნის რამდენიმე მახასიათებელზე.

ესპანური და ქართული ენების არსებითი სახელის შედარებისას განვიხილეთ არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიები - სქესი, რიცხვი, ბრუნვა - და წარმოვადგინეთ ქართულ და ესპანურ არსებით სახელებს შორის არსებული ძირითადი მსგავსება-განსხვავებანი. ამასთან, ვნახეთ, როგორ გადაიჭრა ესპანურ ენაში ლათინური ბრუნვის ნიშნების დაკარგვით გამოწვეული სინტაქსური გაუგებრობა და წარმოვადგინეთ იმ წინდებულების ჩამონათვალი, რომელსაც ვიყენებთ სხვადასხვა ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელის ესპანურად გადათარგმნისას. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ზმნაზე. განვიხილეთ ქართული ზმნის მთავარი სირთულე - მრავალპირიანობა და ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე - და მოვიძიეთ ის ფორმა-საშუალებები, რომელსაც ესპანური ენა იყენებს ესპანური ზმნისათვის უცხო, მაგრამ ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ზმნური კატეგორიის (მაგალითად, გზისობა, აქტი, ქცევა, კონტაქტი და სხვ.) გრამატიკული ინფორმაციის გადმოსაცემად. არაერთი განსხვავება დაფიქსირდა ზმნების უღლების კატეგორიებად გადანაწილების პრინციპებს და ზმნის სტრუქტურებს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ესპანური (კასტილიური) ენა, ქართული ენა, მორფოლოგია, არსებითი სახელი, ზმნა, შედარება-შეპირისპირება.

**შესავალი.** ესპანური (კასტილიური) ენის გრამატიკის ისტორია ანტონიო დე ნებრიხას 1492 წლით დათარიღებული ნაშრომით „Gramática de la lengua castellana“ იწყება.<sup>1</sup> მეორე მნიშვნელოვანი თარიღი ესპანური გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის არის 1771 წელი, როცა სამეფო აკადემიამ (Real Academia Española) კასტილიური ენის ახალი გრამატიკა „Gramática de la lengua castellana“ გამოაქვეყნა.<sup>2</sup> დაარსებიდან დღემდე აკადემიამ ნაშრომი რამდენჯერმე განაახლა და უახლესი ვერსია „Nueva gramática de la lengua española“ 2009 წელს დაბეჭდა. რაც შეეხება ქართული ენის გრამატიკის ისტორიას, ქართული ენის პირველ მაღალ დონეზე დაწერილ გრამატიკად ანტონ ბაგრატიონის „ქართული ღრამმატიკა“ ითვლება (პირველი რედაქცია - 1753 წ., მეორე რედაქცია - 1767 წ.), ხოლო აკაკი შანიძის ნაშრომები - „ქართული გრამატიკა“ და „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ - ქართული ენის ყველა მკვლევარისათვის ფასდაუდებელი განძია. უახლესი გრამატიკული ნაშრომებიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 2016 წელს გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით გამოცემული „ახალი ქართული ენა“.

ზემოხსენებული მეცნიერების გარდა, ესპანური და ქართული ენების გრამატიკას და გრამატიკის ისტორიას იკვლევდნენ ისეთი ცნობილი ენათმეცნიერები, როგორებიც არიან: რამონ მენენდეს პიდალი, ემილიო ალარკოსი, მანუელ სეკო, სამუელ ხილი გაია, ხოსე მანუელ ბლეკუა, ლეონარდო გომეს ტორეგო, გაიოზ რექტორი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ბესარიონ ჯორბენაძე და სხვები. ტარდებოდა შეპირისპირებითი კვლევებიც, სადაც ესპანურ (კასტილიურ) და ქართულ ენებს უპირისპირებდნენ როგორ მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს.

ჩატარებული კვლევების სიმრავლის მიუხედავად, ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა მონოგრაფია, რომელიც აგებული იქნებოდა მხოლოდ ესპანური (კასტილიური) და ქართული ენების გრამატიკული სისტემების კონტრასტულ ანალიზზე. წინამდებარე სტატიის ავტორებმა ამ საკითხზე უკვე დავიწყეთ მუშაობა. ვმუშაობთ, რომ შეიქმნას მონოგრაფია, სადაც წარმოდგენილი იქნება ესპანური (კასტილიური) და ქართული ენების გრამატიკის, კერძოდ მორფოლოგიის შედარება-შეპირისპირება. ბუნებრივია, ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ესპანური და ქართული ენების კონტრასტული გრამატიკით დაინტერესებულ სტუდენტებს და მკვლევარებს. კვლევის დასრულებამდე და მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე კი წარმოვადგენთ სტატიას, სადაც განხილულია ესპანურ და ქართულ არსებით სახელებსა და ზმნებს შორის გამოკვეთილი რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. ყურადღება გავამახვილებთ იმ ფორმა-სამუალებებზეც, რომელსაც ესპანური (კასტილიური) ენა იყენებს ესპანურისთვის უცხო, მაგრამ ქართულ ენაში არსებული გრამატიკული კატეგორიების გადმოსაცემად, და პირიქით.

**მეთოდები.** სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: აღწერითი, შედარებით-შეპირისპირებითი, კონტრასტული, სინქრონული ანალიზი.

**შედეგები და მსჯელობა.** არსებით სახელთან ესპანურ ენაში გვხვდება სქესისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები, ხოლო ქართული ენისათვის დამახასიათებელია ბრუნება და რიცხვი. როგორც ვხედავთ, არსებითი სახელის მორფოლოგიური კატეგორიებიდან საერთო ორივე ენისთვის მხოლოდ რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიაა. როგორც ესპანურ (კასტილიურ), ისე ქართულ ენაში არსებობს მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი. სიმრავლის გადმოსაცემად ორივე ენა

<sup>1</sup> ანტონიო ნებრიხას „კასტილიური ენის გრამატიკის“ ონლაინ ვერსია:

<http://www.ataun.es/BIBLIOTECAGRATUITA/CI%3%A1sicos%20en%20Espa%C3%B1ol/Antonio%20de%20Nebrija/Gram%C3%A1tica%20de%20la%20lengua%20Castellana.pdf>

<sup>2</sup> ნაშრომის ონლაინ ვერსია [https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica\\_RAE\\_1771\\_reducida.pdf](https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica_RAE_1771_reducida.pdf)

გრამატიკულ მორფემას იყენებს, მაგალითად: libro-ს, წიგნ-ებ-ი. მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფლექსიური მორფემა (-s) ესპანურ ენაში ჩნდება მაშინაც, როცა არსებით სახელს წინ უსწრებს რაოდენობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (cinco libros). აღნიშნული მოვლენა ქართული ენისთვის უცხოა. სიმრავლის ლექსიკურად (სხვა სიტყვის გამოყენებით) გადმოცემის დროს ქართულ ენაში არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში რჩება (diez hombres - ათი კაცი).

სქესის გრამატიკული კატეგორია არ მოგვეპოვება ქართულ ენაში, მაგრამ რიგ შემთხვევებში სქესის ლექსიკური საშუალებებით გადმოცემა ფიქსირდება: დედა, მამა, და, ძმა.

არსებითი სახელი ესპანურ ენაში არ იბრუნვის, რასაც ვერ ვიტყვით ესპანურის ფუძე-ენაზე. ლათინურ ენაში ექვს ბრუნვას განარჩევდნენ (ნომინატივი, გენეტივი, დატივი, აკუზატივი, აბლატივი და ვოკატივი). თითოეულ ბრუნვას თავისი ბრუნვის ნიშანი და კონკრეტული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, მაგალითად: ნომინატივი (nominativus) ქვემდებარის ბრუნვას, დატივი (dativus) - ირიბი დამატების, აკუზატივი (accusativus) - პირდაპირი დამატების, გენეტივი (genetivus) გამოხატავს კუთვნილებას, აბლატივი (ablativus) გარემოების ბრუნვას, ხოლო ვოკატივი (vocativus) მხოლოდ მიმართვის დროს გამოიყენება.

პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაციის პროცესში ესპანეთში გავრცელებულმა ლათინურმა (ხალხური) ნელ-ნელა დაკარგა ბრუნვის ნიშნები. ბრუნვის ნიშნების დაკარგვით გამოწვეული სინტაქსური გაუგებრობა ესპანურ (კასტილიურ) ენაში წინადადების გამოყენებით გადაიჭრა. ფუნქცია, რომელსაც ლათინურში ბრუნვის ნიშანი ასრულებდა, ესპანურში წინდებულმა შეასრულა. ესპანური წინადადების სინტაქსური გამართვა წინდებულის ფუნქცია გახდა.

სწორედ წინდებულია ის მეტყველების ნაწილი, რომელიც გვჭირდება სხვადასხვა ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელების ესპანური ეკვივალენტების მოძიებისას, მაგალითად: ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი ესპანურ თარგმანში ითხოვს წინდებული „de“-ს გამოყენებას (კაცის - del hombre, მეზობლის - del vecino), მოქმედებითი ბრუნვა - „con“ და „por“ წინდებულებს (დანით დაჭრა პური - Corto el pan con un cuchillo, ბავშვებით მოვიდა - Vino con los niños, სიყვარულით - con amor, დილით - por la mañana), ხოლო ვითარებით ბრუნვასთან ხშირად გვჭირდება „en“ ან „a“ წინდებული (წყალს ღვინოდ აქცევს - Convierte el agua en vino / შეგიძლია გადათარგმანო ქართულად? - ¿Lo puedes traducir al georgiano?). წინდებულის გარეშე გადადის ესპანურ ენაში სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი, თუ მას ქვემდებარის ფუნქცია აქვს (ბავშვი წერს წერილს - El niño escribe la carta, ბავშვმა დაწერა წერილი - El niño escribió la carta, ბავშვს დაუწერია წერილი - Al parecer, el niño escribió la carta). თუ მიცემით ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელი დამატების ფუნქციით გამოიყენება, ესპანურ თარგმანში „a“ წინდებული გვჭირდება (მე ველოდები ჩემს მეგობარს - Yo espero a mi amiga, ბავშვი წერს წერილს მეგობარს - El niño escribe la carta a su amigo).

მივიღეთ შემდეგი სურათი:

ბრუნვები	ლათ. amīcus		ესპ. amigo	
	მხოლოდითი	მრავლობითი	მხოლოდითი	მრავლობითი
nom.	amīc-us	amīc-ī	el amigo	los amigos
gen.	amīc-ī	amīc-ōrum	del amigo	de los amigos
dat.	amīc-ō	amīc-īs	a / para el amigo	a / para los amigos
acc.	amīc-um	amīc-ōs	al amigo	a los amigos
abl.	amīc-ō	amīc-īs	con / por el amigo	con / por los amigos
voc.	amīc-e	amīc-ī	¡Amigo!	¡Amigos!



ბრუნვები	ქართ. მეგობარი		ესპ. amigo	
	მხოლოდითი	მრავლობითი	მხოლოდითი	მრავლობითი
სახელობითი	მეგობარ-ი	მეგობრებ-ი	el amigo	los amigos
მოთხრობითი	მეგობარ-მა	მეგობრებ-მა	el amigo	los amigos
მიცემითი	მეგობარ-ს	მეგობრებ-ს	el amigo (ქვემდებარე) a / para el amigo (დამატება)	los amigos (ქვემდებარე) a / para los amigos (დამატება)
ნათესაობითი	მეგობრ-ის	მეგობრებ-ის	del amigo	de los amigos
მოქმედებით	მეგობრ-ით	მეგობრებ-ით	con / por el amigo	con / por los amigos
ვითარებითი	მეგობრ-ად	მეგობრებ-ად	en el amigo	en los amigos
წოდებითი	მეგობარ-ო	მეგობრებ-ო	¡Amigo!	¡Amigos!

ქართული და ესპანური არსებითი სახელის შედარებისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს თანდებულისა და წინდებულის ურთიერთმიმართება. თანდებული, რომელიც ქართულში არსებითი სახელის ბრუნვის ფორმას დაერთვის, ესპანურ თარგმანში ყოველთვის ითხოვს წინდებულს, რომელიც, ქართული თანდებულისგან განსხვავებით, არსებითი სახელის პრეპოზიციში გვხვდება. თანდებულიანი სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი ბრუნვების (თანდებული არ გვხვდება მოთხრობით და წოდებით ბრუნვებთან) ესპანური ეკვივალენტების მოძიებამ მოგვცა შემდეგი სურათი:

ა) სახელობით ბრუნვასთან დაფიქსირებული -ვით თანდებული ესპანურ თარგმანში ითხოვს „como“ წინდებულს (ბავშვი-ვით > como un niño); ბ) მიცემით ბრუნვასთან დაფიქსირებული -თან, -ზე და -ში თანდებულები ესპანურში გადადის „con/al lado de“, „sobre“ და „en“ წინდებულების გამოყენებით (კატას-თან > con un gato, მაგიდას-თან > al lado de la mesa, მაგიდა(ს)-ზე > sobre la mesa, სახლ(ს)-ში > encasa);<sup>3</sup> გ) ნათესაობით ბრუნვასთან გვხვდება -თვის, -გან და -კენ თანდებულები, რაც ესპანურ თარგმანში გვამღევს „para“, „de“ და „hacia“ წინდებულებს (მეგობრის-თვის > para un amigo, მეგობრის-გან > de un amigo, სახლის-კენ > hacia la casa); დ) მოქმედებით ბრუნვასთან გამოიყენება -ურთ თანდებული, რომელიც გამოხატავს თანაობას და შესაბამისად ესპანურში ითხოვს „con“ წინდებულს (ბავშვით-ურთ > con el niño); ე) ვითარებით ბრუნვასთან ფიქსირდება -მდე თანდებული, რაც ესპანურად ითარგმნება „hasta“ წინდებულის გამოყენებით (სახლა-მდე > hasta la casa).<sup>4</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ცალკე მდგომი თანდებულები, რომლებიც მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთან ფიქსირდება (ქალის მიერ > por la mujer, კაცის გამო - a causa del hombre / por el hombre...) და ა.შ.

ზმნა ფორმაცვალებადი სიტყვაა როგორც ქართულ, ისე ესპანურ ენაში. იგი იუღლება და ფორმას სხვადასხვა გრამატიკული მორფემების დართვის შედეგად იცვლის. მიუხედავად იმისა, რომ არც ესპანური ზმნა მოიაზრება მარტივ მეტყველების ნაწილად, ურთულესია ქართული ზმნა, რომლის სირთულის მთავარი მიზეზიც მრავალპირიანობა და ზმნურ კატეგორიათა სიმრავლეა. ესპანური (კასტილიური) და ქართული ზმნის შედარებითმა დახასიათებამ არაერთი განმასხვავებელი ნიშანი გამოკვეთა, მათ შორის:

ა) ზმნების უღლების კატეგორიებად გადანაწილების პრინციპი. რომანულ ენებში ზმნის უღლებადი ფორმების საკლასიფიკაციო ნიშნად მიღებულია კილოს კატეგორია,

<sup>3</sup> ბოლო ორ მაგალითთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია.

<sup>4</sup> ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმობანი დაკარგულია.

დროის ფორმები კი თითოეული კილოს შიგნით არის დალაგებული. ზმნის უღლებადი ფორმების აღნიშნული კლასიფიკაცია გვხვდება ესპანურ ენაშიც, სადაც განარჩევენ ოთხ კილოს: თხრობითი (ესპ. Modo Indicativo), კავშირებითი (ესპ. Modo Subjuntivo), ბრძანებითი (ესპ. Modo Imperativo) და პირობითი (ესპ. Modo Condicional). თითოეული კილო (ბრძანებითის გარდა) დროთა კონკრეტული სისტემით არის წარმოდგენილი. ესპანურ ენაში დამკვიდრებული ზმნის დრო-კილოთა ფორმების სისტემატიზაციის პრინციპი უპირისპირდება ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად კლასიფიკაციის მორფო-სინტაქსურ კრიტერიუმს. სწორედ ზმნის ფუძის სტრუქტურასა და სინტაქსური კონსტრუქციის რაგვარობაზე დაყრდნობით გამოყო აკაკი შანიძემ სამი სერია.

ბ) პირის რომელობისა და რაოდენობის გარდა როგორც ესპანურ, ისე ქართულ ზმნასთან გვხვდება პირის როგორობა. სუბიექტური პირი წარმოდგენილია ორივე ენის ზმნის ნაუღლებ ფორმაში (ვ<sup>s</sup>-წერ, com-e-ría-s<sup>PN</sup>), ხოლო ობიექტური პირი განსხვავებული ფორმით გადმოიცემა. ქართულ ენაში ობიექტური პირი ზმნის ნაუღლებ ფორმაში ჩართული ობიექტური პირის ნიშნით არის გადმოცემული (მ-წერ-ენ), მაშინ როცა ესპანურში ობიექტის აღსანიშნად გვჭირდება ნაცვალსახელი ზმნის ნაუღლები ფორმისათვის წინმსწრები პოზიციით (me escribe-n). ქართული ზმნის თავისებურება, ასახოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირი (პოლიპერსონალიზმი), არის ის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რაც ქართულ ზმნას ესპანური ზმნისაგან განასხვავებს.

გ) ქართული ზმნის სირთულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ზმნურ კატეგორიათა სიმრავლეა (პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი). ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი ზმნური კატეგორიებიდან მხოლოდ ნაწილი - პირი, რიცხვი, კილო, დრო, ასპექტი, გვარი - მოეპოვება ესპანურ ზმნას, ხოლო დანარჩენი ზმნური კატეგორიების შინაარსის გადმოსაცემად ესპანურ ენაში გვჭირდება კონკრეტული ზმნური კონსტრუქცია, აღწერითი ფორმა, წინდებულისა და ნაცვალსახელის კომბინაცია ან სხვადასხვა ფუძის ზმნებით შედგენილი ანტონიმური წყვილები. საინტერესოა, ორივე ენისთვის საერთო ზმნური კატეგორიების, მაგალითად ასპექტის განხილვაც, რადგან ორივე ენა განსხვავებულ საშუალებას იყენებს სრული ასპექტის გადმოსაცემად. ქართული ზმნის სრული ასპექტი ზმნისწინით არის გადმოცემული (და-ვწერე, და-ვხატე), ესპანური ზმნა კი სრულ ასპექტს მხოლოდ რთული აგებულების დროებით (he escrito, había pintado) და ნამყო განუსაზღვრელი დროის (escribí, pintaron) გამოყენებით აწარმოებს. წინამდებარე სტატიაში არასაერთო ზმნური კატეგორიების მხოლოდ რამდენიმე მაგალითს განვიხილავთ.

გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება ერთგზის (ერთხელ) მოხდა თუ მრავალგზის (მრავალჯერ). გზისობა ორგვარია: ერთგზისი აღნიშნავს ერთხელ მომხდარ მოქმედებას, ხოლო მრავალგზისი რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებაზე მიუთითებს და „ხოლმეს“ გაგებას შეიცავს, მაგალითად: დახატა და დახატავდა (ხოლმე), დაჯდა და დაჯდებოდა (ხოლმე) და სხვ. მრავალგზისობა გამოიხატება პირველი სერიის მყოფადის წრის ხოლმეობითი მწკრივით (რას ვიზამდი?). მრავალგზისობის გაგების ზმნის ხოლმეობითი მწკრივის ფორმა ესპანურ თარგმანში ითხოვს „soler (solía, solías, solía...) + infinitivo“ ზმნურ კონსტრუქციას: solía pintar (დახატავდა ხოლმე), solía sentarse (დაჯდებოდა ხოლმე) და ა.შ.

აქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება ნახა თუ არა. აქტი ორგვარია: ნახული აქტი მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც ნახულს მოუბრის მიერ, ხოლო უნახავი აქტი, რომელიც „თურმეს“ გაგებას შეიცავს, მიუთითებს მოუბრის მიერ უნახავ მოქმედებაზე: დაწერა და დაუწერია, ააშენა და აუშენებია და ა.შ. უნახავი აქტის მწკრივია I თურმეობითი. ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი უნახავი აქტის მნიშვნელობის ესპანურ ენაში გადასატანად აღწერითი

ფორმა - al parecer გვჭირდება, მაგალითად: Al parecer, ella pintó un cuadro 'სურათი დაუხატავს'; Al parecer, Juan construyó una casa nueva 'ხუანს ახალი სახლი აუშენებია' და ა.შ.

ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რა კუთვნილებით-დანაშინულებითი ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის. არსებობს ქცევის სამი სახე: საარვისო, სათავისო და სასახვისო. საარვისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავის კუთვნილება არ არის და არც ვინმესთვის არის განკუთვნილი: აშენებს სახლს; სათავისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს ან მისთვის არის განკუთვნილი: სახლს იშენებს; სასახვისო ქცევა კი მიუთითებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბ ობიექტს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი: სახლს უშენებს. როგორც ვხედავთ, სათავისო ქცევას აქვს ი ნიშანი (ვ-ი-შენებს), ხოლო სასახვისოს - უ (უ-შენებს: თუ ირიბი ობიექტი III პირია) და ი (მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს: თუ ირიბი ობიექტი I ან II პირია). სათავისო და სასახვისო ქცევის მაგალითების ესპანურ (კასტილიურ) ენაზე გადათარგმნისას ვიყენებთ კონკრეტულ ნაცვალსახელებს, რომლებიც მიგვითითებენ, ვის ეკუთვნის ან ვისთვის არის განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი: „იშენებს“ ესპანურ ენაზე ითარგმნება როგორც „Juan construye la casa para sí mismo“, ხოლო „უშენებს“ - „Juan construye la casa para él“.

კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტური პირი პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ მოქმედებს თუ სხვა პირის შუალობით. კონტაქტი ორგვარია: უშუალო კონტაქტი მიუთითებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სხვა პირის ჩაურევლად, ხოლო შუალობითი კონტაქტი აღნიშნავს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სხვა პირის მეშვეობით: ვწერ და ვაწერინებ, ვხატავ და ვახატინებ... შუალედური კონტაქტი იწარმოება ინ (აწერ-ინ-ებს) და ევინ (აკვლ-ევინ-ებს) სუფიქსებით. შუალობითი კონტაქტის ზმნების ესპანურ ენაზე გადათარგმნის დროს ვიყენებთ “hacer + Infinitivo” კონსტრუქციას: Hay tanto ruido que Marta hace repetir(le) la pregunta 'ისეთი ხმაურია, რომ მარტა ამეორებინებს (მას) შეკითხვას’.

ქართულ და ესპანურ ზმნას შორის დაფიქსირებული არაერთი განსხვავებიდან ერთ-ერთია ზმნისწინი (პრევერბი). სწორედ ზმნისწინი გამოხატავს ქართული ზმნისათვის დამახასიათებელ ისეთ გრამატიკულ კატეგორიებს, როგორცაა: გეზი და ორიენტაცია.

გეზი გვიჩვენებს, როგორ მიემართება ზმნით გამოხატული მოქმედება სივრცეში მდებარე რომელიმე პუნქტს. თუ მოქმედების მიმართულება ზმნის ფორმით გამოხატული არ არის, გვაქვს მიუმართავი გეზი, ხოლო თუ მოქმედება გარკვეული მიმართულებით სრულდება, ფიქსირდება მიმართული გეზი, მაგალითად: წერს, ხატავს - მიუმართავი გეზისაა, ხოლო ავიდა, გავიდა, შევიდა - მიმართულისა. მიმართული გეზის ქართული ზმნები, რომლებიც წყვილებად არის გადანაწილებული მიმართულების სახეებისა (ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით, შიგნიდან გარეთ, გარედან შიგნით) და შესაბამისი ზმნისწინების მიხედვით, ესპანურ ენაში განსხვავებული ფუძის ზმნების ანტონიმურ წყვილებს გვამღევს: ა-დის 'sube' ≠ ჩა-დის 'baja', გა-დის 'sale' ≠ შე-დის 'entra' და ა.შ. წარმოდგენილ ესპანურ მაგალითებში ნათლად ჩანს მოქმედების მიმართულება, რაც დასტურდება ესპანური ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილი შემდეგი დეფინიციებით: subir 'ir de un lugar bajo a otro que está más alto', bajar 'ir de un lugar alto a otro que está más bajo', salir 'pasar de dentro a fuera', entrar 'ir o pasar al interior'. (Diccionario para la enseñanza de la lengua española, 1997)

ორიენტაცია გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას პირველი (მოსაუბრე) პირის პოზიციიდან. ორიენტაცია სააქეთოა (მაახლოებელი), როცა ზმნის ფორმით გამოხატულია მიმართულება პირველი (ან მეორე) პირისაკენ, ხოლო თუ გადმოცემულია მიმართულება პირველი (ან მეორე) პირის საპირისპირო მხარეს, ორიენტაცია საიქეთოა (მაშორებელი), მაგალითად: მოდის, მოცურავს, მოგორავს - სააქეთო ორიენტაციისაა, ხოლო მიდის,

მიცურავს, მიგორავს - საიქეთო ორიენტაციის. ორიენტაციის მიხედვით მიღებული ოპოზიციის წევრები ესპანურ თარგმანში გვამღევს: ა) ორი სხვადასხვა ფუძის ზმნას: მოდის 'viene' და მიდის 'se marcha'; ბ) მიმართულების წინდებულს (hacia 'კენ') და ნაცვალსახელს (mí, ti...): მიცურავს 'nada hacia mí (hacia la primera persona) / nada hacia ti (hacia la segunda persona)' / მიცურავს 'nada hacia él, ella (hacia la tercera persona)'.

დ) არაერთგვაროვან სურათს გვამღევს ესპანური და ქართული ზმნის აგებულების შედარება, რაც სავსებით ლოგიკურია ორი სტრუქტურულად განსხვავებული ენის ზმნების შედარებისას. შედარებამ გვაჩვენა, რომ ძირი ზმნის დაუმღელი ნაწილია როგორც ესპანურ (pint<sup>ძირი</sup>-a<sup>VT</sup>-ba<sup>TMA</sup>-s<sup>PN</sup>), ისე ქართულ ენაში (ვ<sup>S</sup>-ხატ<sup>ძირი</sup>-ავთემ.ნიშ.-დსავრც.-იმწკრ.ნიშ.) ხოლო ფუძე ზმნის სხვადასხვა ნაწილითაა წარმოდგენილი. ესპანურში ზმნის ფუძე ძირისა და ფუძისეული ხმოვნის (VT) ერთობლიობით მიიღება, მაშინ როცა ქართულში ფუძე ზმნის ის ნაწილია, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პირისა და რიცხვის ნიშანი: [pint<sup>ძირი</sup>-a<sup>VT</sup>]<sub>ფუძე</sub>-ba<sup>TMA</sup>-s<sup>PN</sup>, ვ<sup>S</sup>-[ხატ<sup>ძირი</sup>-ავთემ.ნიშ.-დსავრც.-იმწკრ.ნიშ.]<sub>ფუძე</sub>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესპანურ ენაში როგორც დროისა და კილოს (TMA), ისე პირისა და რიცხვის (PN) აღმნიშვნელი ფლექსიური მორფემა ფუძის გარეთ არის გამოტანილი და TMA+PN თანამიმდგრობით ყოველთვის ბოლოვიდურ პოზიციაში ფიქსირდება: pint-a<sup>VT</sup>-ra<sup>TMA</sup>-s<sup>PN</sup>, pint-a<sup>VT</sup>-ste<sup>TMA</sup>-is<sup>PN</sup>. პირისა და რიცხვის ნიშნები ფუძის გარეთ არის გატანილი ქართულ ენაშიც, თუმცა ფიქსირდება პოზიციური მრავალფეროვნება: ვ-ხატავდი, დახატავ-ს, ვ-ხატავ-თ. გრამატიკულ ინფორმაციას ზმნის ნაუღლები ფორმის დროისა და კილოს შესახებ, რომელიც ესპანურ ენაში კონკრეტული ფლექსიური მორფემებით არის გადმოცემული, ქართულში გვაწვდის ზმნის ფუძე, რომელიც ინდივიდუალურია ყველა მწკრივისათვის.

**დასკვნა.** ამრიგად, მხოლოდ ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი ზმნური კატეგორიები ესპანურში გადმოიცემა შესაბამისი წინდებულის და ნაცვალსახელის დამატებით, კონკრეტული ზმნური კონსტრუქციით, აღწერითი ფორმით ან სხვადასხვა ფუძის ზმნებით შედგენილი ანტონიმური წყვილებით. რაც შეეხება არსებით სახელს, ესპანური არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი სქესის გრამატიკული კატეგორია, თუ ამის საჭიროებაა, ქართულში გადმოიცემა ლექსიკური საშუალებებით, ხოლო წინადადების სინტაქსური გამართვა, რასაც ქართულში ბრუნვის ნიშანი ასრულებს, ესპანურში წინდებულის ფუნქციაა

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგოლაშვილი, გ., & არაბული, ა. (2016). *ახალი ქართული ენა*. I. თბილისი.
- გოგოლაშვილი, გ., & არაბული, ა. (2016). *ახალი ქართული ენა*. II. თბილისი.
- კობეშავიძე, მ. (2019). *ესპანური ენა*. თბილისი.
- შანიძე, ა. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯაში, ქ. (2008). *რომანული და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია*. თბილისი.
- Diccionario para la enseñanza de la lengua española*. (1997), VOX, Universidad de Alcalá de Henares.
- Real Academia Española. (2009). *Nueva gramática de la lengua española*. Espasa Libros.
- Penny, R. (2008). *Gramática histórica del español*. Ariel. España.



**REFERENCES:**

- gogolashvili, g., & arabuli, a. (2016). *akhali kartuli ena [New Georgian Language]*. I. Tbilisi.
- gogolashvili, g., & arabuli, a. (2016). *akhali kartuli ena [New Georgian Language]*. II. Tbilisi.
- k'obeshavidze, m. (2019). *esp'anuri ena [Spanish Language]*. Tbilisi.
- shanidze, a. (1980). *kartuli enis gramat'ik'is sapudzvlebi [The foundation of the grammar of the Georgian Language]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- jashi, k. (2008). *romanuli da kartuli enebis shep'irisp'irebiti t'ip'ologia [The contrastive typology of Roman and Georgian languages]*. Tbilisi.
- Diccionario para la enseñanza de la lengua española*. (1997), VOX, Universidad de Alcalá de Henares.
- Real Academia Española. (2009). *Nueva gramática de la lengua española*. Espasa Libros.
- Penny, R. (2008). *Gramática histórica del español*. Ariel. España.